საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/55

ქ. ბათუმი 27 მაისი, 2019 წ.

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-40 მუხლებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 23 ივნისის №01 გადაწყვეტილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გამოცხადდეს ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს **2019 წლის 28 მაისიდან 2019 წლის 18 ივნისის** ჩათვლით, ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35, ოთახი N13), შაბათ–კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ–დან 16 სთ–მდე.
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს: ჰქონდეს უმაღლესი განათლება, არანაკლებ 5 წლის სამუშაო გამოცდილება და სამოქმედო გეგმა;
4. კანდიდატმა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (პირადობის მოწმობასთან ერთად);

ბ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით ¾;

გ) ავტობიოგრაფია (CV)

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი ან ორიგინალი;

ე) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;

ვ) სამოქმედო გეგმა;

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურა აკადემიური საბჭოს მიერ შეირჩეს და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წარედგინოს 2019 წლის 20 ივნისს.
6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**